№ 29
ოთხშაბათი, 8 თებერვალი 1895

1877—1895

# ივერია

№ 29
ოთხშაბათი, 8 თებერვალი 1895

გაზეთი ღირს:

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 . . . | 10— | 6 . . . | 6 — |
| 11 . . . | 9 50 | 5 . . . | 5 50 |
| 10 . . . | 8 75 | 4 . . . | 4 75 |
| 9 . . . | 8 — | 3 . . . | 3 50 |
| 8 . . . | 7 25 | 2 . . . | 2 75 |
| 7 . . . | 6 50 | 1 . . . | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

„ივერიის“ ტელეფონი № 227.

რედაქცია:
ნიკოლოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.
გაზეთის დასაბარებლად
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიჰმართონ რედაქციას და წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების კანცელარიას.
ფასი განცხადებისა:
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ—16 კაპ. მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის“ ტელეფონი № 227

ევგენია მიხეილის ასული რადზევიჩისა და თავ. პავლე მიხეილის ძე თუმანიშვილი აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ ოთხშაბათს, 9 თებერვალს, დილის $10^1/_2$ საათზედ კათოლიკეთა ყოვლად-წმიდა ღვთისმშობლის ეკკლესიაში (რომელიც შუაბაზარში იმყოფება) გარდახდილ-იქმნება წირვა და პანაშვიდი განსვენებულის ძმისა მათისა პატივცემულის მეკანონის თავ. დიმიტრი მიხეილის ძის თუმანიშვილის სულის მოსახსენებლად და სთხოვენ მობრძანდნენ. (1—956—1)

ვპისრ ლოზ

ყოველ გვარს სასამართლო საქმეს, როგორც სამოქალაქოს, ისე სისხლის სამართლისას, ვწერ ყოველ გვარს არზებს, ვტვირთულობ აგრეთვე მამულების ბანკებში დაგირავებას.

მსურველთ მოგვმართონ დილის 8—10 საათამდე და საღამოს 6—8 საათამდე.

ადრესი: ჩუღურეთი, პანასევიჩის ქუჩა, სახლი ვქობულაშვლისა, 17. (15—5)

## წლიური საზოგადო კრება.

„ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელის საზოგადოების“ წევრთა, თანახმად საზოგადოების წესდების 11 §-სა, დანიშნულია 19 თებერვალს, დილის 11-ს საათზედ, სათავად-აზნაურო ბანკის დარბაზში.

კრებამ უნდა განიხილოს შემდეგი საგნები:

1) წლიური ანგარიში საზოგადოების მოქმედებისა 1 ენკენისთვიდგან 1893 წლ. 1 ენკენისთვემდე 1894 წ.

2) მოხსენება სარევიზიო კომისიისა ამ ანგარიშის და წარსულის სარევიზიო კომისიის მოხსენების შესახებ.

3) სავარაუდო აღრიცხვა შემოსავალ-გასავლისა 1 ენკენისთვიდგან 1894 წ. 1 იანვრამდე 1895 წ. და მთელის 1895 წლისა.

4) მოხსენება გამგეობისა თავ. ივ. გ. მაჩაბლის მიერ საზოგადოების სახელზედ ბანკში შეტანილის ბროსეს პრემიის თანხის მოხმარების შესახებ.

5) არჩევანი საზოგადოების ახალის წევრებისა.

6) არჩევანი საზოგადოების თავმჯდომარისა და გამგეობის წევრთა. (3—6—3)

ქართული თეატრი.

ოთხშაბათს, 8 თებერვალს, 1895 წ.

„ქართულ წარმოდგენების მმართველ ამხანაგობის“ დასის მიერ წარმოდგენილი იქნება ბენეფისი ს. ჯ. სვიმონიძისა ქ-ნთ გაბუნია-ცაგარლისა, საფაროვისა, ავალიშვილისა, ბ-ნთ ყიფიანისა და აბაშიძის მონაწილეობით

I

დაძმა

დრამა 5 მოქ. ვ. გუნიასი

II

ძდვოგაცთან

ვოდევილი 1 მოქ. მისივე.

მონაწილეობას ღებულობენ: გაბუნია ცაგარლისა, საფაროვისა, ავალიშვილისა, ჩერქეზიშვილისა, მაქსიმიძისა, გამყრელიძისა, და სხვ. ბ-ნნი: ყიფიანი, აბაშიძე, სვიმონიძე, გამყრელიძე, გედევანოვი, შათირიშვილი, კანდელაკი, მარჯანოვი, ადამიძე, გუნია და სხვ.

ადგილების ფასი ჩვეულებრივია.

მოწაფეებისათვის ადგილები ლოჟების უკან 65 კ.

დასაწყისი სწორედ 8 საათზედ.

მზადდება წარმოსადგენად: „მუშაკი და ნებიერი“ დრ. 4 მოქ. და „ცოლი-მეუღლე“ დრამა 4 მოქმედ.

რეჟისორი ალ. მესხიშვილი

ადმინისტრატორი ვალ. გუნია.

(2—2)

შაბათს, 11 თებერვალს, 1895 წ.

„ქართულ წარმოდგენების მმართველ ამხანაგობის დასის“ მიერ წარმოდგენილ იქმნება მეორედ ამ სეზონში

სამშობლო

დრ. 5 მოქმ. თ. დ. ერისთავისა

წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების სასარგებლოდ.

მონაწილეობას ღებულობენ ჩვენის სცენის საუკეთესო არტისტნი ქალნი და კაცნი. დაწვრილებით აფიშებში იქნება გამოცხადებული.

## ტფილისი, 8 თებერვალი.

—

გაზეთს «ნოვოსტში» დაბეჭდილმა დეპეშამ ბ. იანოვსკის პროექტის შესახებ, დიდი ბაასი გამოიწვია როგორც ადგილობრივს, ისე რუსეთის გაზეთებში. მკითხველებს უთუოდ ახსოვთ, რომ დეპეშაში ნათქვამი იყო, ვითომც ამ პროექტით უნდა მოსპობილიყო ძველი ენების სწავლება კლასსიკურ გიმნაზიის პირველს ოთხს კლასსებში. ამ პროექტის შესახებ ჩვენც გამოვსთქვით აზრი და სრულის თანაგრძნობით მივეგებეთ ამ დიდად სამნიშვნელო გაუმჯობესებას რუსეთის საშუალო სწავლისას. მაგრამ რამდენისამე დღის შემდეგ ერთმა ადგილობრივმა გაზეთმა გამოაცხადა „ნამდვილის წყაროებიდგან“ შეტყობილი ამბავი, რომ ახალი პროექტი მხოლოდ ამ ენების შესწავლის მეთოდის გაუმჯობესებას შეეხებაო.

საკვირველი არ არის, რომ საზოგადოებამ ასეთის სიჩქარითა და სისწრაფით დაიჯერა გაზეთ „ნოვოსტის“ მიერ გადმოცემული ამბავი. როგორც ჩვენ ვსთქვით წარსულს წერილში, საზოგადოება და მწერლობა კარგი ხანია დარწმუნდა, რომ ამ ენების სწავლებამ იმ პროგრამით, რომელიც გრაფ ტოლსტოიმ შემოიღო, დიდი ვნება მოუტანა მოზარდ თაობას. უმცროსს კლასებიდგან დაწყება ძველის ენების შესწავლისა ისეთ ანტიპედაგოგიურ მოვლენად გახდა, რომ სწავლის საქმეც შეაფერხა და გონებითაც და ფიზიკურადაც აზიანა ყმაწვილებს. პირუთვნელმა პროფესორებმა, ბევრმა პედაგოგმა და მწერლობამაც შეურყეველ ფაქტად აღიარეს ის გარემოება, რომ კლასიციზმის დამკვიდრების შემდეგ ყმაწვილები უფრო ნაკლებ განვითარებულნი და მომზადებულნი სტოვებენ საშუალო სასწავლებელს და იმდენად დაღალულ-დაქანცულნი არიან, რომ ძლიერ უჭირსთ უმაღლესს სასწავლებელში რიგიანად სწავლის განგრძობა. გარდა ამისა საზოგადოების ყურადღება იმ გარე-

# ფელეტონი

—

## თამრო გაგიჟდა?!.

(მოთხრობა *).

ნიკომ სამსახური იშოვა და რამდენიც დღე გადიოდა, უფრო იმარჯვებოდა წელში, სამსახურის „ძალას“ იძენდა. პირველი თვისი ჯამაგირი სულ ტანისამოსში დახარჯა. მარიამობისთვის პირველს რიცხვებში კოხტა „მუნდირით“ და «კაკარდა» მიკრულის ქუდით დადიოდა სამსახურში. ოცდა ორის წლის ყმაწვილს, ლამაზსა და მოხდენილს ტანადს ძალიან უხდებოდა ეს კოხტა ტანსაცმელი. იმისი გამომეტყველი ლიდრონი შავი თვალები და წარბები, რომელიც მერცხლის ფრთებივით შავად გადაჰშლოდა შუბლზედ, ლამაზი ცხვირი და ოდნავ აშლილი წვერ-ულვაში კაცს ისე იზიდავდა, გეგონებოდ თ ელექტრონის ძალა აქვსო...

პირველს თვესვე თხუთმეტამდე ქალი გაიცნო ნიკომ და იმათი ყურადღებაც მალე დაიმსახურა: ყველა აქებდა, ყველას უნდოდა იმისი გაცნობა. ნიკოს ნაცნობი და უცნობი ასე ამბობდენ: «რა ლამაზია!», „რა კარგად უხდება მუნდირი!“, «რა კარგი ტანადია?», „რა ჭკვიანია!“ ვინ ძოსთვლის კიდევ რა სახელს და წოდებას არ აძლევდნენ ქ. №-ს ქალები.

ხშირად გაიგონებდით, რომ თავისი ამხანაგი ქალი ასე სთხოვდა ამხანაგს: „ეცადე და გამაცანი სადმე“. ან არა და ერთი მეორეს ეუბნებოდა: „შენ ხომ იცნობ, ჩემო კარგო, საღამო გამართე და დაუპატიჟე, მაშინ ადვილი იქნება იმის გაცნობა“-ო. რასაკვირველია, იყვნენ ისეთი ქალებიც, რომლებსაც სრულიადაც არ უნდოდათ, რომ ნიკოს სხვა ქალი გაეცნო, მაგრამ ვის გაუმხელდნენ თავისს განზრახვას... ყოველთვის ჰპირდებოდნენ თავიანთს ამხანაგებს: «უეჭველად გაგაცნობო». თუმცა სიტყვიერად ასე ეუბნებოდნენ, მაგრამ გულში კი სხვასა ჰფიქრობდნენ.

ნიკო ურცხვაძე ყველა ნაცნობს ქალებს ამხიარულებდა ხოლმე, როცა-კი იმათთან იყო. რასაკვირველია, განსაკუთრებულს ყურადღებას იმას აქცევდა, ვინც უფრო ლამაზი იყო.

ერთს საღამოს ურცხვაძეს გააცნეს თამრო ობლაძე, რომლის სილამაზე და სიმშვენიერე ძალა-უნებურად მიგიზიდავდათ. ამის დანახვაზედ ჩვენი „ჩინოვნიკი“ მთლად გადაირია და ველარ სძლებდა თვალის მოშორებას, ის სრულიად შეიპყრო თამროს სიმშვენიერემ, სიკეკლუცემ.

თამრო იყო თექვსმეტ-ჩვიდმეტის წლისა, ლამაზი, შავი გიშერივით თვალ-წარბი, კუპრივით შავი თმა მხრებზედ გაშლილი, კოხტა ცხვირი, სისხლივით წითელი პატარა ტუჩები, წერწეტა ტანი მთლად იპყრობდა კაცის გონებას. მნახველი ძნელად თუ მოაშორებდა თვალს. მაგრამ ძალიან მაგარი ხასიათისა უნდა ყოფილიყო კაცი, რომ ხუთს წუთს იმის თვალებისთვის მიჩერებულს გაეძლო; ერთი სიტყვით ლომის ძალაც რომ ჰქონოდა კაცს, იმის შეხედვაზედ მოხად გახდებოდა.

ნიკო ურცხვაძის თვალები მთლად თამროს მიმართ მიიქცა, რაღაც საგონებელმა გაიტაცა, სრულიად გაშტერდა იმის სიმშვენიერით, გულმა ღელვა დაუწყო. დრო გამოშვებით ისე ძლიერად ამოიოხრებდა, გეგონებოდათ მთლად გული თან ამოაყოლაო.

ამ საღამოს გატარება ტანჯვად გადაექცა ნიკოს. ხშირად, როდესაც ეკითხებოდნენ რასმე, პასუხის მაგიერად ისეთი რამ წამოსცდებოდა, რომ იმასთან მოსაუბრეს სიცილი აუტყდებოდა და ფიქრობდა: —რა მოჰსვლია, რომ ყოველთვის მხიარული, ასე დაღონებულაო. იმას-კი ვერ მიმხვდარიყვნენ, რომ იმის დაღონების მიზეზი თამრო იყო.

ნიკო სახლში დაბრუნდა, მაგრამ იმას თვალებს ძილი არ მიჰკარებია იმ ღამეს. ის გაიტაცა სხვა-და სხვა ფიქრებმა და მალე შემოათენდა კიდეც. ადგა, დაიბანა პირი და ჯერ კიდევ ვერ მიმხვდარიყო, რა მოსდიოდა; მაგიდას ახლოს სკამზედ ჩამოჯდა და თავი ძირს ჩაჰკიდა, ერთი ღრმად ამოიოხრა და წამოდგა. „არა, რაც უნდა ძვირად დამიჯდეს, თამრო ჩემი უნდა გახდეს! მე უიმისოდ ცხოვრება არ შემიძლიან!.. ოჰ, როდის ველირსები იმასთან შეხვედრას? კარგია, რომ ვკითხე და გავიგე, სადა დგას; დღესვე უნდა ჩავუარო და ვეცადო იმასთან შეხვედრას!“

საათმა ათის ნახევარი დაჰკრა. ნიკო გამოფხიზლდა. მოაგონდა, რომ სამსახურში უნდა წავიდეს და ზიზღით წარმოსთქვა: „წყეული სამსახური!“

ამხანაგებმა ველარ იცნეს ნიკო. იმისს სახეს ზაფრანის ფერი დასდებოდა: ხუმრობაა მთელი ღამე უძილობა და ისიც ამისთანა ფიქრებში გართული!

— რა დაგმართნიათ? ეკითხებოდნენ ამხანაგები. სიყვარული ხომ არ ჩაგეჭრა გულში?! გაეხუმრა ერთი დაახლოვებული ამხანაგი.

თუცა ნიკოს არაფრით ეპიტნავებოდა ასეთი კითხვები, მაგრამ რას იზავდა, —ითმენდა, გულში-კი ფიქრობდა: —რას გადამეკიდნენ ეს ოხრებიო?

სამსახურიდგან დაბრუნდა თუ არა, მხოლოდ იმას-ღა ფიქრობდა: —ერთი ჩქარა ვნახო თამრო-ო, პირი დაიბანა, თმა გადაივარცხნა; რამდენჯერმე ჩოთქი ჩამოუსვა მუნდირს და გასწია თამროს სახლისაკენ; მიუახლოვდა თუ არა, იმის სახლს, ფანჯრებში თვალიერება დაიწყო, იქნება აქსადმე ვნახოო. მართლაც მოულოდნელი შემთხვევა იყო: როგორც მეორე ფანჯარას შეჰხედა, ვიღასიც ნაცნობი სახე შენიშნა, რომელიც ნიკოს ნაზათ უღიმოდა. ნიკო ისე დაიბნა, რომ ქუდის მოხდა ძლივს მოახერხა; ოდნავ გაწითლდა კიდეცა, რისთვის შევამჩნევინე, რომ ფანჯარაში ვიხედებოდიო. მაგრამ თითონაც არ იცოდა, თუ ეს ასე მოხდებოდა. ის ისევ ერთს ადგილას იყო გაუნძრევლად, როდესაც სახლის შესავალის კიბის წინ თამრო იდგა და იღიმებოდა.

— საით მიბრძანდებით? ჰკითხა თამრომ.

— აქეთ, ამხანა...გთან. დაიბნა ნიკო.

— თუ საჩქარო საქმე არა გაქვთრა, ჩვენთან მობრძანდით. უთხრა თამრომ.

— საჩქარო... არა, ისე მივდიოდი. ძლივს მოახერხა და გულში ამბობდა: „დღეს რა მემართება? ვინ მე და ვინ ასეთი შეკრთომა? უეჭველად ავად ვარ და მე-კი ვერ ვატყობ ჩემს თავს“. ფიქრობდა ნიკო.

სახლის კიბეზედ ისე ავიდა, რომ ვერა გაიგო-რა. მხოლოდ მაშინ მოვიდა გონზედ, როდესაც თამრომ ოთახში შეიპატიჟა.

ნიკო ვერ ისვენებდა; თითქოს სკამზედ ეკლების ჩხვლეტასა ჰგრძნობსო; დაიწყო თამროსთან ლაპარაკი. ჯერ რაღაც გაუბედაობა ეტყობოდა, მაგრამ თან-და-თან უმატებდა თავისუფლად ლაპარაკს. ბევრი საგრძნობი სიტყვები უთხრა თამროს და

*) იხ. „ივერია“, № 28

...ლოებამ მიიქცია, რომ გიმნაზიებში სწავლას ამთავრებს ძლიერ ცოტა, უმთავრესი ნაწილი-კი დაბალი კლასებიდგან გამოდის და ცხოვრებისათვის სრულიად უვარგისადა და მძიმე ტვირთადა ხდება.

ამ ხანებში, საზღვარ-გარეთ, სადაც იგივე კლასსიკური სისტემა სუფევდა, ბევრი კარგი და ღირსშესანიშნავი რეფორმა იქმნა შემოღებული საშუალო სწავლის საქმეში. ერთის სიტყვით, მწერლობამ, პედაგოგიამ, ევროპის ცდამ და თვით ცხოვრებამ ერთხმად დაიწყეს ლაპარაკი: „დროა განიხილოს ეს მავნებელი სისტემა და დროების შესაფერისად მოეწყოს სწავლის საქმე საშუალო სასწავლებლებშიო. ამ ლაპარაკს მთავრობამაც ყური ათხოვა და დელიანოვის სამინისტრომ ამ ენების შესწავლის გასაადვილებლად რამდენიმე ცვლილება მოახდინა: შეამცირა პროგრამა და მეთოდიც გაუმჯობესა. მაგრამ ყველა ჰხედავდა, რომ ეს მხოლოდ პირველი ნაბიჯი იყო, რომ სწავლის ნამდვილის წარმატებისათვის საჭიროა ძირეული რეფორმა და არა აქაიქ შეკეთება და წვრილმანი ცვლილება. ეს აზრი თვით პეტერბურგის ოლქის მზრუნველის ბ. კაპუსტინის წლიურს ანგარიშში იყო გამოთქმული. ამის შემდეგ საკვირველი არ არის, რომ ყველამ დაიჯერა ახალის პროექტის წარდგენა იმ სახით, როგორც გვაუწყა პეტერბურგის გაზეთმა. უნდა დავიცადოთ, სანამ ამ პროექტის შინაარსს სრულებით გავიგებდეთ, მაგრამ თუ მართლა გამოდგა, რომ პროექტს სახეში აქვს მხოლოდ მეთოდის გაუმჯობესება, უნდა ვსთქვათ წინდაწინვე, რომ მას არავითარი მნიშვნელობა არ ექმნება, რომ მას არ შეუძლიან უშველოს რამ საქმეს და სწავლა-განათლებას ააცილოს ის ვნება, რომელიც მას კლასსიციზმმა მოუტანა. საქმე იქამდე მივიდა, რომ მეტი დაყოვნება ძლიერ საშიშია და ამიტომ ვფიქრობთ, რომ, თუ დღეს მოგვატყუა იმედმა, ხვალ მაინც გავიგონებთ სასიხარულო ამბავს.

ლალი.

# ახალი ამბავი

*** დღეს, 8 თებერვალს, ქართულს თეატრში დანიშნულია ბენეფისი ბ-ნის ს. სვიმონიძისა, რომელიც კარგა ხანია ერთგულად ემსახურება ჩვენს სცენას. საბენეფისოდ წარმოდგენილი იქმნება «და ძმა» დრამა ვ. გუნიასი. მთელს რეპერტუარში ბ-ნს სვიმონიძეს საუკეთესო როლი ამ პიესაში აქვს. თუმცა ეს დრამა ამ სეზონში უკვე იყო წარმოდგენილი, მაინც საზოგადოებას მოსწონს იგი. ამიტომ ეჭვი არ არის ქართველი საზოგადოება თანაგრძნობით მიეგებება ბ-ნ სვიმონიძის ბენეფისს,

*** კიდევ გავახსენებთ ჩვენს მკითხველებს, რომ 11-ს თებერვალს წარმოადგენენ თ. დ. ერისთვის დრამას „სამშობლოს“ ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების სასარგებლოდ.

იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ჩვენი საზოგადოება ამ შემთხვევაში სრულს თანაგრძნობას აღმოუჩენს და შეძლების კვალობაზედ არ დაიშურებს წვლილს ამ ჩინებულის საქმისათვის.

ბილეთები იყიდება თვით საზოგადოების კანცელარიაში (ბანკის ქარვასლა).

*** დღეს 8 თებერვალს, საღამოს 8 საათზედ, დანიშნულია კრება ქალაქის საბჭოს იმ კომისიისა, რომელსაც მინდობილი აქვს განხილვა ხმოსნის ნ. ზ. თუმანოვის წინადადებისა ეტლებზედ ფასის შემცირების შესახებ. ამ კომისიის წევრებად არიან თვით ნ. ზ. თუმანოვი, შაჰაზიათოვი, სლივიცკი, ქოჩორიანცი და ვეტცელი. კომისიის წევრთა შორის საზოგადო ნიხრის დაწესების შესახებ ზოგი იმ აზრისაა, რომ ხუთი შაური იყოს დაწესებული ყოველ გზაზედ, ზოგი აბაზიაო. თქმა არ უნდა, რომ სასურველია აბაზი იქმნას დაწესებული, მით უმეტესს, რომ ამით მეეტლეები სრულიად არ იზარალებენ, მოძრაობა უფრო გახშირდება და უფრო ბევრნი ივლიან.

*** ხუთშაბათს, 9 თებერვალს, სახელმწიფო თეატრში დანიშნულია ბენეფისი ამ თეატრის ანტრეპრენიორისა პატივცემულ ი. ლ. ფორკატისა. ოპერის მოყვარულნი უნდა დიდი მადლობლები იყვნენ ფორკატისა, რომელიც მიუხედავად იმისა, რომ ამ ჟამად ხაზინა ეხმარება სულ 10,000 მან. 40,000 მან. მაგიერად, რომელსაც წინად იღებდა თეატრი, თავ-გამოდებით ემსახურება ამ საქმეს და მთელის ზამთრობით ჩვენი საზოგადოება ოპერას ისმენს, რისაც მოვალე იგი სრულიად არ არის იმ პირობის წერილით, რომელიც მას დირექციასთანა აქვს შეკრული. ყოველს ეჭვს გარეშეა, რომ ფორკატი ფულის სიყვარულით არ იქცევა ასე, რადგანაც სუბსიდია მთლად ამ საქმეზედ იხარჯება.

ამ საღამოზედ წარმოდგენილი იქმნება «ჯიო-კონდა» და ოფენბახის ოპერეტი „საღამო იტალიელ სტუმრებით“, რომელშიაც მონაწილეობას მიიღებენ ყველა საუკეთესო საოპერო არტისტნი,—დასასრულ გამართული იქმნება დივერტისმენტი მთელის დასის მონაწილეობით; ოპერეტში თვით ბენეფიციანტი მიიღებს მონაწილეობას. ის სიყვარული და პატივისცემა, რომელიც უკვე დამსახურებული აქვს ბ-ნს ფორკატის, იმედს გვაძლევს, ვიფიქროთ, რომ ამ ჟამადაც დაამტკიცებენ ტფილისელები, თუ რამდენად აფასებენ ნამდვილს შრომას და თეატრის მუშაკს სრულს თანაგრძნობას აღმოუჩენენ.

*** ხვალ, ხუთშაბათს, 9 თებერვალს, ბარიტონი კ. ს. ცხომელიძე ჰმართავს საოპერო წარმოდგენას სამუსიკო კრუჟოკში. წარმოდგენილი იქნება სცენები ოპერებიდგან „ფაუსტისა“ და „კარმენიდგან“. სხვათა შორის, მონაწილეობას იღებენ, თვით კ. ს. ცხომელიძეს გარდა, რომელიც ქართულად იმღერებს, ბ-ნი აბაშიძე და რატიილის ხორო, რის გამოც ამ საღამოს სრულიად ქართული ხასიათი ექმნება. დირიჟორად იქმნება ი. ფალიაშვილი. დასასრულ გამართული იქნება ცეკვა კოტილიონით.

*** პეტერბურგიდგან იუწყებიან, რომ სამხედრო სამინისტროს განზრახვა აქვს, კავკასიაში მცხოვრებ მაჰმადიანთაგან ცალკე რაზმები შეადგინოს. ამ რაზმებში მიღებულ-იქმნებიან ყველა ის მაჰმადიანნი, ვინც-კი სამხედრო სამსახურში შესვლის სურვილს განაცხადებსო.

*** გუშინ-წინ, 6 თებერვალს, სრულიად სომეხთა კათალიკოსი საგანგებო რკინის გზის მატარებლით ბათუმს წავიდა. აქ რამდენსამე დღეს დარჩება და მერე ნოვოროსიისკზედ გაივლის, საიდგანაც დონის ნახიჩევანში წავა.

*** შემუშავებულია პროექტი მერვის კორდის დასახლებისა. განზრახვა აქვთ, სხვათა შორის, ერთი ნაწილი თავისუფალ მიწებისა ადგილობრივ თურქმანთა და ბუხარიდგან გადასახლებულთ დაუთმოს, ხოლო მეორე ნაწილი ამ მიწებისა რუსეთიდგან გადმოსახლებულთ; თითოეულს ოჯახს ზედმიწევნით 20 დღიური მიწა მიეცემა.

*** ქალაქის გამგეობას ამ უკანასკნელს დროში შეუმჩნევია, რომ რადგანაც ტფილისში პოლიციამ დიდი ყურადღება მიაქცია საქონლის ჩუმად კვლას, რაც სასტიკად აკრძალულია, ტფილისის ყასბებს გარდაუწყვეტიათ, საქონელი საყასბოს მაგიერად ალექსანდერფელდის ახალშენში დაჰკლან და იქიდგან ჩამოიტანონ ტფილისსაო, რათა ქალაქს გარდასახადი არ აძლიონ. ეხლა ბევრი საქონელს ჰხოცავს ამ ახალშენში, სადაც არ არის ბეითალი; საქონელს არავინ არა ჰსინჯავს და შესაძლოა, რომ ავადმყოფის საქონლის ხორცი აჭამონ ხალხს.

*** ამ ჟამად ტფილისის გუბერნატორის თავმჯდომარეობით კრება იქნება ტფილისში გამართული მაზრის უფროსებისა და მომრიგებელ-შუამავლებისა. ამ კრებამ უნდა განიხილოს პეტერბურგიდგან გამოგზავნილი პროექტი გლეხთა ახალ დებულებაში შემოსაღებ ცვლილებათა.

*** «ნოვ. ობოზ.»-ს პეტერბურგიდგან დეპეშით ატყობინებენ, რომ გენერალ-მაიორი თ. ბარიატინსკი გამწესებულ-იქმნა ქუთაისის გუბერნატორის თანაშემწედაო. ქუთაისის გუბერნიის ექიმად გადმოყვანილ-იქმნა სუვალკის გუბერნიის საექიმო ინსპექტორი ბ. სერგეენკო. ავადმყოფობისა გამო სამსახურიდგან დათხოვნილიქმნა ტფილისის გუბერნიის საგლეხო საკრებულოს წევრი ბ-ნი პახომოვი.

*** შარშან, წმიდა ნინოს საქალებო სასწავლებელში 441 მოსწავლე...

---

...ნიკო დღეს ისე ეჩვენა ლამაზს თამროს, რომ იმაზედ წმინდა და კეთილი არსება დედამიწის ზურგზედ თითქოს მეორე არ მოიძებნებოდა. მალე მიენდო და გულ ახდილად ყველაფერი უამბო თავისს მოსაუბრეს; ისიც-კი ვერ დაუმალა, რასაც ნიკოზედ ჰგრძნობდა. ლაპარაკში დროს გასვლა ვერ შეამჩნიეს; მაგრამ სიბნელე-კი ნელ-ნელა ეპარებოდა ოთახის ფანჯარებს. თამროს აღარ უნდოდა ნიკოს მოჰშორებოდა, მაგრამ უცბად ელვასავით თავში გაურბინა:—ბიძამ და ძალუამ, რომ ამდროს აქა ნახონ რას მეტყვიან? ნიკო თითქო მიჰხვდა თამროს ფიქრს, ადგა და ხელი გაუწოდა—ნახვამდის, ჩემს აქ ყოფნაში დიდს დროს გაუვლია, მე-კი ვერ შევამჩნიე, წარმოსთქვა ნიკომ ამოოხვრით.

თამრომ ხელი ჩამოართვა და თანაც ღიმილით დაუმატა:

— იმედი მაქვს, ნახვას არ დამიგვიანებთ ხოლმე?

— რასაკვირველია, თუ ჩემის ნახვით არ მოგაწყენთ?

— რას ბრძანებთ, ჩემთვის დიდი სიამოვნება იქმნება თქვენი ხშირად ნახვა.

ნიკო გამოემშვიდობა და თავისის ოთახისაკენ გასწია. სახლამდის ისე მივიდა, გეგონებოდათ მიწაზედ ფეხებს არ აკარებსო; სიხარულისაგან აღტაცებულს აღარ იცოდა რა ექმნა.

გადიოდა დღეები, კვირეები, თვეები და ნიკო სრულიად დაუახლოვდა თამროს. ძნელად დაღამდებოდა დღე, რომ ხუთი-ექვსი წუთით მაინც არის არ ენახა სადმე ის. თამროს ამხანაგებს ბრაზი მოსდიოდათ, რომ ნიკო ურცხვაძე თამრომ მიითვისა, ამან მონადირა იმისი გული და ეს გამხდარიყო იმის სალოცავ კერპად. თამროც ამის შემდეგ თავ მომწონედ და ცოტა არ იყოს ამაყადაც იქცეოდა თავისს ტოლებში.

მაისი იყო. ნიავი ოდნავ სრიალებდა ჰაერში და სასიამოვნო ყვავილების სუნი უხვად იშლებოდა დედამიწაზედ. ხან-და-ხან ისეთს შრიალს დაიწყებდნენ ხის ფურცლები, რომ გეგონებოდათ ნიავი ყვავილ-ბალახებს ნანას ეუბნებაო,—ხან აღმა აატრიალებდა ხის ფურცლებს, ხან დაღმა. სასიამოვნოდ გაპენტილიყო ყვავილები, მინდორ-ველებზედ. დედამიწა ედემს დაჰმსგავსებოდა.

ის იყო მზემ თავი ამოყო მთიდგან, როდესაც თამრო და ნიკო ბაღში შევიდნენ. ოჰ, რა სასიამოვნო დღე იყო ეს დღე! მშვენიერი წმინდა ჰაერი, რომელშიაც ათასი სხვა-და-სხვა ყვავილ-ბალახების სუნი ტრიალებდა,— ვერა ძღებოდა კაცი ამ ჰაერის ყნოსვით! ჩუ!.. რა სასიამოვნოდ ისმის იადონის გალობა! აგერ სადღაც ვარდის ბუჩქში ჩამალულა, ერიდება კაცის ცოდვიანმა თვალებმა არ დამინახოსო და გულსაკლავად გაჰკივის, ჰკვნესის, სტირის. მაგრამ რას სტირის? რას ამბობს? განა კაცის საბრალო ყურები გაიგონებს? მიჰხვდება იმისს მნიშვნელობას? სრულიადაც არა! იმისთვის სამუდამოდ გაუგებრად რჩება!.. ეს ხმა!..

ამ ბუნების სიმშვენიერით, ასის წლის დარდიც რომ ჰქონოდა კაცს გულში, მაინც გაჰფანტავდა, დაავიწყებდა.

— რა მშვენიერი დღეა! რა სასიამოვნოა ეხლა ბაღში ყოფნა! ყვავილაფერით შემკულია მაისის თვე! ამ დროს ყველა ხეხილ-ვარდ-ყვავილები იმოსებიან, ლამაზდებიან, კეკლუცობენ! მთელი დღე არ მომწყინდება ეხლა ბაღში ყოფნა! ეუბნებოდა თამრო.

— შენ როგორ-ღა მოგწონს ასეთი ბუნება? შეეკითხა თამრო.

— ოჰ, ძალიან მომწონს! მახარებს, მასულდგმულებს, აღტაცებაში მოვყავარ, მით უფრო, რომ შენს ახლოსა ვარ ამ დროს. ორჯელ-სამჯერ უფრო მეტს ძალას ვგრძნობ ეხლა ჩემში.

თამარო ოდნავ გაწითლდა, თავი ჩაღუნა და პირზედ მომდგარი სიტყვები შეაჩერა. ერთი ძლიერად ამოიოხრა და სიყვარულით სავსე თვალები ნიკოს დააშტერა. უნდოდა ნიკოს მოჰხვეოდა, ეთქვა, მეც ძალიან მიყვარხარო და ჩაეკოცნა, მაგრამ თავი შეიმაგრა... თამროს გული ზღვის ტალღებივით აღიოდ-დაღიოდა; გული ბუდიდგან ამოვარდნას ჰლამობდა; მაჯამ ჩქარ-ჩქარა ცემა დაუწყო; სული უგუბდებოდა; სიყვარულის სიტკბოებამ გაიტაცა შორს, შორს—ბუმბულსავით სუბუქად მიაფრენდა ჰაერში. მთელმა საათმა ისე გაირბინა სიჩუმეში, რომ ვერა გაიგო-რა; სიყვარულის ოცნებამ მოიტაცა თამროს გონება და იმიტომ ვეღარ მოეხერხებინა, რა უნდა ეთქვა ნიკოსთვის... აგერ მეორედ და მესამე ვარდის ბუჩქთან გადადიოდა, ჰკრებდა სხვა-და სხვა ფერს ვარდებს და აგროვებდა ხელში; ეს ისე შეუმჩნევლად მოხდა, რომ ვერ მიმხვდარიყო, რა მოსდიოდა; ვარდის ეკალმა თითში გაუარა და მხოლოდ ეხლა გამოერკვია ასეთ თავ-დავიწყებიდგან. თითი ოდნავ შეუღება სისხლმა.

— ძალიან ბევრი ვარდი დაჰკრიფე, კონად ხომ არა გსურს? ჰკითხა ნიკომ.

— არა, ისე, ლამაზი ვარდია და მომწონს... უთხრა თამრომ მღელვარებით და ხელი გაშალა.

— ოჰ, სისხლი გამოგსვლია თითზედ, ვარდის ეკალი გიჩხვლეტდა, ეუბნებოდა ნიკო.

პასუხს აღარ მოუცადა და ცხვირსახოცი საჩქაროდ ამოიღო ჯიბიდგან.

— ნება მომეცით, შეგიხვიოთ თითი, უთხრა ნიკომ.

— კარგი, მაგრამ რა მიშავს, გაივლის, უპასუხა თამარომ.

— ცოტა ხანს გქონდეს შეხვეული და მერე შეგეძლიან მოიხსნა.

როდესაც ნიკო თითს უხვევდა, თამრო ვერხვის ფოთოლივით თრთოდა იმის ხელების მიკარებაზედ. რაღაცა ელექტრონული ძალა გადადიოდა ხელებიდგან და ტანში ჟრუანტელს ჰგვრიდა. იმის გულის ბაგი ბუგი გუგუნივით გაისმოდა ნიკოს ყურებში. ნიკომაც ვეღარ გაუძლო ამ ძალას და ასის წლის ბებერივით დაუწყო ხელებმა კანკალი. თამრო მიჰხვდა, რომ ნიკოშიაც რაღაცა ცვლილება დაეტყო, მაგრამ ვერ მიჰხვდა, რა იყო მიზეზი.

— ხეტა, იმ დღეს მოვესწრო, ამ დაჭრილს თითზედ, ცხვირსახოცის მაგიერად ნიშნის ბეჭედს გიკეთებდე, ღიმილით უთხრა ნიკომ.

თამრო უფრო აღელდა, აირია, აენთო ცეცხლივით, გაიტაცა ნიკოს სიყვარულმა, თავ-დავიწყებას ჰგრძნობდა...

ნიკო ურცხვაძე თოფის წამალივით აენთო; მოჰხვია ორივ ხელი, მიიკრა გულზედ და გაშმაგებით დაუწყო კოცნა; გულზედ ისე იკრავდა, გეგონებოდათ ორი ადამიანი ერთად უნდა გარდაიქმნასო. ჰკოცნიდა გაშმაგებული, უნდოდა კოცნით დამტკბარიყო, მაგრამ რამდენსაც მეტსა ჰკოცნიდა, იმდენად უფრო-და უფრო ახჩობდა წყურვილი.

— იმედი მაქვს, ჩემო სიცოცხლევ, რომ დაპირებას მალე აასრულებ,— უთხრა თამრომ მორცხვად.

— განა ეჭვი გაქვს ამაზედ? გაბედვით უპასუხა ნიკომ.

(დასასრული)

ეროვნული ბიბლიოთეკა

იყო. ამათგანმა სწავლა გაათავა 38, რომლიდგანაც ხუთმა პირველის ხარისხით სწავლის დამთავრებისათვის ოქროს მედალი მიიღო. ამ ხუთში ერთი ქართველია: თავადის თარხან-მოურავის ასული მარიამი.

მეორე ხარისხის ვერცხლის ჯვარი მიიღო ერთმა ქართველმა: თავადის ბაგრატიონ-მუხრან-ბატონის ასულმა სოფიომ.

აგრეთვე ჯილდო მიეცა იმ მოსწავლე ქალთ, რომელნიც შემდეგს კლასებში გადავიდნენ. ხატვა-წერისათვის პირველიდგან მეორე კლასში გადასულს თავადის ჩოლოყაშვილის ასულს ელისაბედს და მეხუთიდგან მეექვსე კლასში გადასულს თავადის ერისთავის ასულს სალომეს.

ჩინებულის ხელ-საქმისათვის დააჯილდოვეს, მესამიდგან მეოთხე კლასში გადასული ეკატერინე გედევანიშვილის ასული და თავადის ერისთვის ასული სალომე.

*** მის იმპერატორებითის უმაღლესობის ბორჯომის მამულის გამგე კ. ხ. ფრომმი გუშინ ტფილისს ჩამოვიდა.

*** გენერალი პოდტიაგინი, ბათუმის ციხის კომენდანტი, გუშინ ტფილისიდგან ბათუმს წავიდა.

*** ნებოძირში მცხოვრებმა გლეხმა ანდრია ცხოვრებაძემ მუშაობის დროს ცული დაჰკრა თავში თავისს ძმას ზაქარას. დაჭრილი ზაქარა ლოგინად ჩავარდა და არ ამხელდა თავისის ავადმყოფობის მიზეზს. ბოლოს ტვინის დაზიანებით გარდაიცვალა. ძმამ, სინიდისის მხილებით შეწუხებულმა, თავისი თავი სასამართლოს წინაშე დამნაშავედ გამოაცხადა და თავისისავე ნებით საპატიმროში წავიდა.

*** ამ დღეებში ერთი ახირებული ქურდობა მოხდა ტფილისში. მეეტლე ივანე ათაბეკოვს ბირჟაზედ მოჰპარეს ეტლი და ორი ცხენი. ეს ამბავი ათაბეკოვმა პოლიციას გამოუცხადა და 6 თებერვალს მაზრის პოლიციამ ეტლი ცხენებით იპოვნა სოფ. კოდაში, რომლის მოურავმაც ეტლი ქურდითურთ ტფილისს გამოგზავნა. მოპარველი ამ ეტლისა აღმოჩნდა ვიღაც გრიგოლ კოლბე, რომელიც პოლიციამ დააპატიმრა.

*** ბათუმი: პარასკევს 10 და კვირას 12 თებერვალს აქაურს თეატრში კ. მესხი თავისის დასით გაჰმართავს წარმოდგენებს და წმინდა შემოსავლიდგან ნახევარს უთმობს აქაურს წერა კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების სკოლას. წარმოდგენილი იქმნება ახალი პიესები და ჩვენც დიდის მოუთმენელობით ველით ამ წარმოდგენებს. სხვათა შორის დასში მონაწილეობას იღებენ ქ-ნნი: ე. ს. მესხი, ნ. პ. ჩხეიძისა; ბ-ნნი: კ. მესხი, ნ. ბადრიძე, დ. მესხი და ალ. ნებიერიძე.

*** ქ. ქუთაისი: 4 თებერვალს შესდგა ქალაქის საბჭოს უკანასკნელი სხდომა თეატრის შესახებ. ქალაქის ხმოსნებმა ერთხმად დაადგინეს: გადადებულ-იქმნას თეატრის შენობის შესაკეთებლად 6,520 მან. და 2,000 მანეთიც თეატრის მორთულობისათვის. თეატრის შეკეთებას დიდ-მარხვის პირველ დღიდგან შეუდგებიან.

## ქალაქის საბჭო.

6 თებერვალი:

საბჭომ ქალაქის მოურავის მოადგილის ა. ა. ივანენკოს თავმჯდომარეობით ორშაბათს განიხილა აზრი ხმოსნის ა. ს. ბაბოვისა იმის შესახებ, რომ კერძო შენობებს თვალ-ყური ადევნოს პასუხის-მგებელმა ქალაქის ტეხნიკოსმა და აღმშენებელს კომისიას ორი ტეხნიკოსიც მიემატოს და ამათაც იმ სახლებს ადევნონ თვალ-ყური, რომლებიც ეხლა შენდებაო. ეს მეთვალყურეობა იმიტომ არის საჭირო, რომ ეხლა სახლები ჯეროვანის სიმკვიდრისა არა შენდება, რაც აშკარად დაგვანახვა მრავალმა უბედურებამ სახლების დანგრევისა და დაქცევისამ, და ქალაქის გამგეობაც თვალ-ყურს ვერ ადევნებს, რადგან საჭირო მოხელეები არა ჰყავს და ამისათვის ვერ იცლისო. ამ აზრს ხმოსანისას მიემხრო ხმოსანი ევანგულოვიც. სხვა ხმოსანნი, კოჩორიანცი, მ. ი. თამამშოვი, ხუდადოვი იმ აზრისანი იყვნენ, რომ ეგ საგანი საფინანსო კომისიას უნდა გადავცეთ განსახილველად, რადგან ჯერ უნდა შევიტყოთ, გვაქვს თუ არა შეძლება, რომ ახალი ტეხნიკოსები მოვიწვიოთო. ამ საგანმა დიდი ლაპარაკი გამოიწვია და დასასრულ საბჭომ კენჭის ყრით შეიწყნარა აზრი ხმოსანის ვართანოვისა, რომ ტეხნიკოსების მოწვევის საქმე გარდაეცესო განსახილველად ორს შეერთებულს კომისიას საფინანსოსა და აღმშენებელს.

შემდეგ წაკითხულ იქმნა მეფურნეების საჩივარი. მეფურნეები სჩიოდნენ, რომ რუსეთის ფქვილი ძვირია და ნიხრი-კი მცირე, ზარალი დიდი გვაქვსო. ამიტომ გვირჩევნია მეორე ხარისხის ფქვილის პურზედ $2^1/_2$ მაგიერად 3 კაპ. დაინიშნოსო. ეს საჩივარი წარდგენილი ჰქონდა გუბერნატორს და გუბერნატორისაგან წარმოგზავნილი იყო საბჭოში. ქალაქის გამგეობის წევრმა ხოსროევმა განაცხადა, რომ მართალია, რუსეთის ფასმა აიწია, მაგრამ, სამაგიეროდ, ამდენადვე იკლო ფასმა ადგილობრივის ფქვილისამ, მეფურნეები-კი ვალდებულნი არიან მეორე ხარისხის პური გამოაცხონ ნახევარი ადგილობრივისა და ნახევარიც რუსეთის ფქვილისაგან და ამიტომ გამგეობა იმ აზრისაა, რომ ეს თხოვნა მეფურნეებისა არ უნდა იქმნას შეწყნარებულიო. საბჭო დაეთანხმა ამ აზრს.

შემდეგ ხმოსანი ნ. ე. არღუტინსკი-დოლგორუკოვის წინადადებისამებრ საბჭომ დაადგინა, რომ ძველ-არსენალის ქუჩას ამიერიდგან სასამართლოს ქუჩა ეწოდოს, რადგან აქ არის აგებული ახალი შენობა სასამართლოთა დაწესებულებისა.

დასასრულ საბჭომ მოისმინა წინადადება ბ-ნის ტფილისის გუბერნატორისა იმის შესახებ, რომ ქალაქის ექიმს პროზოროვსკისა და ბებიებს გოლუბენკოსა და პოლიაკოვისას დასაპატიო ჯამაგირის ძლევა ქალაქმა იკისროს. ეს წინადადება საბჭომ შეიწყნარა და დანარჩენ საქმეთა განხილვა გადასდო, რადგან ხმოსანთა კანონიერი რიცხვი აღარ იყო.

საბჭო საღამოს 11 საათზედ დაიშალა.

## კორესპონდენცია.

**ს. მცხეთა.** 31 წარსულს იანვარს აქ მოვიდნენ: ყოვლად სამღვდელო ალექსანდრე ეპისკოპოსი გორისა, მამა ბლაღოჩინი სოლომონ შოშიაშვილი, ხაზინადარი ქართლ-იმერეთის სინოდალნი კანტორისა ა. პ. არდაზიანი და ორი ხუროთ-მოძღვარი, ერთი საეკკლესიო ლ. პ. ბილფელდი და მეორე ტფილისის სამოქალაქო არხიტექტორი თ. თ. ლ.*) მიზეზი ამათის მოსვლისა ის გახლდათ, რომ აგერ რამდენიმე წელიწადია, რაც მცხეთის სვეტი-ცხოვლის ტაძარში რამდენსამე ადგილას ჭერიდგან წვეთი ჩამოდის**), ასე რომ დიდის წვიმიანობის დროს შიგ ეკკლესიაში გუბეები დგება ხოლმე; თუმცა რამდენჯერმე შეაკეთეს ჭერი, მაგრამ რადგანაც ეს შეკეთება სახელდახელო იყო და არა საფუძვლიანი (მიზეზი ამისი უფულობა გახლავთ), ამიტომ წყლის დენა მაინცა-და-მაინც არ შესწყდა; ამ ერთს ჭირს მეორეც მიემატა. ამ რამდენისამე წლის წინად ამ ეკკლესიას თუნუქის მილები გაუკეთეს, რომელშიაც ავდრიანობის დროს წყალს უნდა ედინა. ეს მილები გაკეთებულია ისე უხერხულად, რომ სარგებლობის მაგიერად დიდი ზიანი მოაქვს ტაძრისათვის: მილები ჩამოტანილია დედამიწის პირამდის და, როდესაც წყალი ჩამოდის, მთლად შიგ საძირკველში ხრიალით იკარგება, რადგანაც მილის ნიადაგი აქეთ ამაღლებულია და საღენი გზა არსაითა აქვს წყალს. მეორე, ეს მილები ძალიან ვიწროა და ნიაღვრის წყალი, შიგ რომ ვერ ეტევა, კედლებზედ გადმოდის და რაღა თქმა უნდა, ამით თვით კედლებსაც აზიანებს. აი ეს დიდად დიდებული ტაძარი, თითქმის მეორე იერუსალიმი, დღეს ამ მდგომარეობაშია.

ყოველივე ეს აგერ ერთი წელიწადია, რაც მოჰხსენდა საქართველოს ექსარხოსს ვლადიმერს, რომელმაც მართლაც ყურადღება მიაქცია ამ გარემოებას და კომიტეტი დანიშნა, რომელსაც შეადგენდნენ შემდეგნი პირნი: თავმჯდომარე ეპისკოპოსი ალექსანდრე, წევრნი: თავადი კ. ი. მუხრანსკი, ბ. სარაჯოვი, გ. ქართველიშვილი, ბლაღოჩინი შოშიაშვილი, ა. არდაზიანი, მცხეთის სვეტი-ცხოვლის მღვდ. მ. გიორგი ლაზარიშვილი და სხვანი. ეს კომიტეტი შეუდგა საქმეს და თავისს პირველს სხდომაზედ გარდასწყვიტა: საეკკლესიო არხიტექტორის გარდა, მოიწვიონ ცნობილი ორი სხვა არხიტექტორიც თ. თ. ლ. და ბ-ნი შტერნი და ამათ უნდა დაწვრილებით დაათვალიერონ მცხეთის ტაძარი და შეადგინონ ხარჯთ აღრიცხვა, თუ რამდენი ფული დასჭირდება მისს გაკეთებას. აი, ამის გამო მოვიდნენ აქ ზემოხსენებულნი პირნი; ვერ დაესწრნენ წევრთაგანი თ. კ. ი. მუხრანსკი და არხიტექტორი შტერნი ავადმყოფობისა გამო. დანარჩენებმა დაათვალიერეს.

არხიტექტორები შეადგენენ ხარჯთ-აღრიცხვას და მეორე სხდომაზედ კომიტეტს წარუდგენენ თავიანთს აზრს, მხოლოდ უნდა მოვახსენოთ, იმისს საფუძვლიანად შეკეთებას დასჭირდება დიდ-ძალი ფული, რომელიც ჯერ არ საიდგან არა სჩანს, რადგანაც თვით ეკკლესიას არა აბადია-რა. კანტორასაც ეს საჭირო ფული არა აქვს და საიდგან იშოვნის ეს კომიტეტი, ჯერ ღმერთმა უწყის? თვით ეკკლესიის შეკეთება-კი დაჩქარებას თხოულობს, რადგან თუ ამ ორს სამს წელიწადს კიდევ არ შეკეთდა, თქვენს მტერს, მერე ნახევარი მილიონიც ვეღარ შეაკეთებს.

ეკკლესიის დათვალიერების შემდეგ ყოვლად სამღვდელო ეწვია იქვე მყოფს სამრევლო სასწავლებელს. ბავშვებმა მწყობრად იგალობეს ,,ისპოლა''; შემდეგ ყოვლად სამღვდელომ ბავშვებს რამდენიმე საგანი ჰკითხა. ყურადღება მიაქცია, როგორც ქართულს საეკკლესიო გალობას ისე რუსულსაც. სამმა ბავშვმა მშვენივრად იგალობეს ქართულად: „შენ გიგალობთ“, ამასთანავე ბავშვები ყველა კითხვებზედ მშვენივრად უგებდნენ. ძალიან მოეწონა ყოვლად სამღვდელოს ბავშვების მიერ წაკითხული ქართული ლექსები. მშვენიერს სურათს წარმოადგენდა ერთი მოწაფეთაგანი პატარა ნიკო, გამოწყობილი წმინდა პაჭიჭ-ქალამანით, როდესაც მან ყოჩაღად წაიკითხა ლექსი «დათვის სიზმარი» და «ვაზის ჭირიმე». ყოვლად სამღვდელო ბავშვებთან თითქმის ერთს საათს დარჩა. აქო ბავშვები, მისცა მათ შესაფერი დარიგება და დიდად ნასიამოვნები «ღირს არს»-ის და «ისპოლა»ს გალობის შემდეგ დასტოვა სასწავლებელი. ამ სამრევლო სკოლის მასწავლებლად გახლავთ ახალგაზდა მუშაკი მღვდელი, მამა გიორგი ლაზარიშვილი, რომელიც ყველა საგნებს ასწავლის. სასწავლებელში სწავლობენ როგორც ვაჟები, ისე ქალებიც, რიცხვით 75, ამასთან სწავლა არის როგორც დილით, ისე საღამოთი.

დროებით მცხეთელი.

*) სისრულით აღარ გვახსოვს გვარი.
**) ჭერი ლოფინით არის დახურული.

## ნაწყვეტი

რაა-ი ადი სულ სხვისას
გმირობას, კაცკაცობასა,
მკლავისა ღონეს, გულის ძალს
და სულის მშვენიერობასა?
გმირი უშენოდ იქნების,
იპოვნის თანაგრძნობასა,
შენ შენი მადლი გვიჩვენე,
არა კარგთ სხვაზე მზობასა!...

დ. ნინოწმინდელი.

## რუსეთის ცხოვრება.

გაზ. ,,ბირჟ. ვედ.''-ში საყურადღებო განცხადება არის დაბეჭდილი, რომელიც მთავრობის ბრძანებით პეტერბურგისა და მოსკოვის უნივერსიტეტებში გამოუკიდნიათ:

,,საერო განათლების სამინისტრომ შეიტყო, რომ ერთი არა-სანდო წრე მოსწავლეთა შორის ავრცელებს იმ აზრს, რომ უმაღლესის სასწავლებლების წესდება შეცვლილი უნდა იყოსო. თავისის აზრის მისაღწევად ზემოხსენებული წრე არზასა სწერს და ზედ ხელს აწერინებს მრავალს მოწაფეს იმ იმედით, რომ, რაც უფრო მეტი ხელის მომწერი იქნება მით უფრო მეტს გავლენას იქონიებენ მთავრობაზედაო. ბევრი ამნაირად მომქმედი შენიშნულია და დაპატიმრებულ არიან კიდეცა. უმაღლესს სასწავლებელში მოსწავლეთა გასაფრთხილებლად ამით ვაცხადებთ, რომ ყოველ-გვარი არზა, რამდენსაც-კი უნდა ეწეროს ზედ ხელი, მთავრობისაგან უყურადღებოდ იქნება დატოვებული, რადგან კანონები იცვლებიან მოწაფეების სურვილის მიხედვით-კი არა, არამედ უმაღლესის ბრძანებით. მაგრამ სამოსწავლო უმაღლესს მმართველობას მაინც იმედი აქვს, რომ სტუდენტობის უმრავლესობა გონიერად მოიქცევა და არ დაივიწყებს, რომ უნივერსიტეტში სასწავლებლად შესულან და არა ახალის კანონების შემოსაღებად“.

მოსკოვის უნივერსიტეტში-კი საჭიროდ დაუნახავთ ამ განცხადებისათვის შემდეგი დაემატებინათ:

«აწ მოქმედ საყოველთაო კანონებით აღკრძალულ-არიან ფარულნი საზოგადოებანი, ამიტომ სტუდენტებსაც აღეკრძალებათ მონაწილეობის მიღება, ერობის წრეებში და სხვა ამ გვარს დაწესებულებებში. მოვაგონებთ რა ამას სტუდენტობას, უფრო-კი მისს ყურადღებას იმ გარემოებას მივაქცევთ, რომ მეტად მავნებლად მიგვაჩნია არსებული წრე ეგრედ წოდებულის «შეერთებულის ერობებისა».

შემდეგ ამ დამატებაში მოყვანილია აზრი 82 მოსკოველ პროფესორისა ამ „შეერთებულ ერობის“ შესახებ.

პროფესორებსაც მავნებლად მიაჩნიათ ეს წრე, რადგან მათ საგნათა ჰქონიათ მასწავლებლების საქციელის განხილვა და ხშირად მათთვის უკმაყოფილების გამოცხადებაც. თუმცა-კი იმავე პროფესორების სასარგებლოდ მიაჩნიათ ცალკე წრეები სხვა-და-სხვა ერობებისა, რადგან ამ წრეებს საქველ-მოქმედო მიმართულება აქვთო. ამ დამატების ბოლოში მოყვანილია განკარგულება: ვინც თავს არ დაანებებს ერობის წრეებს, დათხოვნილ-იქმნება უნივერსიტეტიდგანაო.

ნამდვილად-კი არ ვიცით და, მგონი, სხვათა შორის, ქართველს სტუდენტებსაც ჰქონდათ თავისი წრე, რომელიც ღარიბ წევრებს ეწეოდა ფულით თუ სხვით. ამ წრეებს ბევრი ქართველი სტუდენტი გადურჩენია უნივერსიტეტიდგან დათხოვნისა და შიმშილისაგან. რაკი ამ წრის არსებობა ეხლა აღუკრძალავთ, ჩვენის სტუდენტების მდგომარეობა, რაღა თქმა უნდა, უფრო გაჭირდება.

—

როგორც უკვე უწყიან ჩვენმა მკითხველებმა, პეტერბურგის გუბერნიის ერობამ შუამდგომლობა აღძრა მთავრობის წინაშე, რომ პეტერბურგის გუბერნიის მცხოვრებნი განთავისუფლებულ-იქმნან ,,გაროზგვისაგან''; გაზ. ,,სვეტი'' ამბობს ამის შესახებ:

,,მოახლოვდა ის დრო, როდესაც ეს სამარცხვინო სასჯელი უარ-ყოფილი იქმნება. დრომ, გამოცდილებამ და გონებამ ნათლად დაგვანახვა, რომ ეს სასჯელი უფრო აბრიზებს ადამიანის ბუნებას და მისთვის შეუძლებელად ჰხდის სწორე და რიგიანის განვითარების მიღებას. რა საჭიროა რუსეთისათვის ის, რაც დიდი ხანია უარ-ჰყო ყველა მოწინავე ქრისტეს მორწმუნე სახელმწიფომაო''.

## უცხოეთი

—

**ბელგია.** გუშინ ბელგიის პარლამენტში წარდგენილ-იქმნა კანონს პროექტი იმის შესახებ, რომ კონგო-

სახელმწიფო ბელგიას შეუერთდესო. ამის გამო ბრიუსელიდგან იწერებიან, რომ ეს კანონ-პროექტი უსათუოდ დიდს მითქმა-მოთქმას გამოიწვევს და უმისოდაც აღელვებულს სოციალისტებს უფრო გაამწვავებსო. ერთს დროში შეიძლება კონგო ბელგიისათვის სიმდიდრის წყაროდ გარდაიქცეს, მაგრამ ამ ჟამად-კი დიდს ხარჯს მისცემს ბელგიის სახელმწიფოსაო. არ უნდა დაივიწყოთ, რომ კონგოს სახელმწიფო ვალი 150 მილ. ფრანკს უდრის და ამას კიდევ უნდა მიემატოს 100 მილ. ფრანკი, რომელიც განზრახულ ვიწრო ლიანდაგის რკინის გზის გაყვანას მოუნდებაო. აქამომდე რკინის გზა გაყვანილია 40 კილ. მანძილზედ და სტენლი-პულამდე კიდევ 400 კილ. დარჩენილი. ერთის სიტყვით, კონგოს სახელმწიფოზედ ბელგიას დიდ ძალი ფული დაეხარჯებაო.

—

**ბოლგარია.** ბოლგარიის ჟურნალ-გაზეთობა საშინლადა ჰკიცხავს თურქებს, რომლებიც ძლიერ თურმე აწუხებენ მაკედონიაში მცხოვრებს ქრისტიანებს. ამ ბოროტ-მოქმედებს თვით ოსმალეთის მთავრობა უჭერს მხარსა და კიდეც აქეზებს. ბოლგარიის ჟურნალ-გაზეთობის კიცხვაგმობამ უფროორე გაამწვავა თურქები და უფრო საშინლად დაუწყეს ქრისტიანებს და ნამეტნავად ბოლგარებს დევნა. ჰკეტავენ ბოლგარელების სასწავლებლებს, [illegible]დევნიან მღვდლებს და მასწავლებლებს. ბოლგარიის ეკკლესიებს ძალად აბარებენ ბერძნებსა და სერბიელებს. ერთს ადგილას ბოლგარელებმა, წინაამდეგობის ნიშნად, თითონვე დაჰკეტეს თავისი ეკკლესიები და აგერ ორს თვეზედ მეტია წირვა-ლოცვა არა ჰქონიათ. ამ ჟამად თურქების ძალ-დატანებით ქალაქებისა და პროვინციების ზოგიერთი გაზეთები ტყუილად ჰბეჭდავენ, ვითომც ოსმალეთის მთავრობის მეოხებით მშვიდობიანობა და წეს-წყობილებაა ამ მხარეშიო. მკვიდრნი ეწინააღმდეგებიან ამ გვარს ხმებს, მაგრამ გამგონე არავინ არის.

—

**იაპონია.** იაპონიის გაზეთი „მიაკოშამბუნი“ დაწვრილებით აღნიშნავს, რამდენჯერ გადაუხდიათ ომი იაპონელებს ომის დასაწყისიდგან 20 დეკემბრამდის.

„მას შემდეგ, რაც გენერალ-მაიორის ოშიმის რაზმი ჩემულპოში მოვიდა, 12 ივნისს, ჩინელებსა და იაპონელებს შორის 17-ჯერ მოხდა შებრძოლებაო, და ჩვიდმეტჯერვე იაპონელებმა გაიმარჯვესო. ამ ომებში იაპონელებს მოუკლეს 418 კაცი და დაუჭრეს 1,665 კაცი. ხოლო ჩინელებს მოუკვდათ 6,620 კაცი და დაეჭრათ 9,500 კაცი. გარდა ამისა იაპონელებმა ტყვედ წაიყვანეს 1,164, წაართვეს 607 ზარბაზანი, 7,400 თოფი, 12.500,000 ფრანკად ღირებული, სამხედრო სურსათი, 5 მილ. სხვა-და-სხვა საქონელი, 268 ცხენი, 21 გემი, სამი სამხედრო ხომალდი და სხ. იაპონიისაგან წაღებული ნადავლი ყველა რომ ფულად ვიანგარიშოთ, სულ ეღირება 36, მილლ. ფრანკი. ამდენი სარგებლობა მოუვიდათ ვეი-ჰაი-ვეის აღებამდის პორტ-არტურის ღირებულების გარდაო“.

რამდენად მართალია ეს ბუმბერაზული გამარჯვება, ამის პასუხის-გება თვით იაპონიის გაზეთისათვის მიგვინდვია.

## წერილი რედაქციის მიმართ.

—

ბატონო რედაქტორო!

უმორჩილესად გთხოვთ თქვენის გაზეთის შემწეობით ოდესსის ქართველი სტუდენტების მაგიერ უგულითადესი მადლობა გამოუცხადოთ თავადთ ალფონს და პავლე მიხეილის ძეთ ოუმანიშვილებს, რომლებმაც ჩვენ საამხანაგო სალაროს ას-ოც-და ხუთი მანეთი ფული შემოსწირეს მათის გარდაცვალებულის ძმისა დონ-დიმიტრის სამახსოვროდ. ჩვენთვის მაგისთანა თანაგრძნობა და ყურადღება გარეშე პირებისგან მით უფრო დასაფასებელი და საგრძნობელია, რომ შინაურების, იმ პირების, რომლების პირდაპირი მოვალეობაა ჩვენი ხელის გაწყობა და დახმარება, იმედი დაგვეკარგა; ამიტომაც მაგისთანა ორი-სამიოდე მადლიანი კაცი რომ არ გვიჩნდებოდეს ხან-დის-ხან, ჩვენი საქმე დაღუპული იქნებოდა. გასაკვირალია სწორედ: ის პირები, რომლებთანაც არავითარი ამხანაგური დაკალება, ანუ კავშირი არ მიგვაძლვის, უფრო თანაგრძნობით, მეგობრულად გვეპყრობიან, ვიდრე ჩვენი ნამდვილი ამხანაგები, რომლებიც არა ერთხელ დაგვიხსნაა მშურის განწყობილებით არა სასიამოვნო მდგომარეობისგან. მარტო მაგათთანა „შინაურების“ იმედით რომ ვიყოთ, ნამეტანად ცუდად იქნებოდა ჩვენი საქმე, მაგრამ თავისიანების მოძულებულს, ღმერთი არ მოიძულებსო, ნათქვამია: დიდის აღტაცებით და სიამოვნებით ვგებებით აქ ყველანი იმ ამბავს, რომ ბატონს ზაქარია ერისთავს სამი სტიპენდიის დაარსება განუზრახავს ოდესის ქართველი სტუდენტების სასელობაზედ. მაგისთანა იშვიათი შემთხვევა ჩვენს ცხოვრებაში დიდი გასამხნევებელი და საიმედო მოვლენაა; ამით გვემატება იმისი რწმენა, რომ ჩვენში კიდევ მოინახება ისეთი პირები, რომლებიც გარდა სიტყვისა, საქმითაც ამტკიცებენ თავისს სიყვარულს სამშობლოსადმი და ჰზრუნავენ მის მომავალ კეთილ-დღეობისათვის. ვისურვებთ მხოლოდ, რომ პატივცემულს მამულიშვილს ეს დანიშნული სტიპენდიები სამუდამოდ ქართველ მოსწავლეების სასარგებლოდ მოეწყოს და აეცილებინოს მათგან ყოველიკე ფორმალური დაბრკოლებანი, რომლებიც შეერთებულია სხვა სტიპენდიებთან.

ოდესის ქართველი სტუდენტების მესალარე.
26 იანვარს 1895 წ.

# დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა საგენტოსაგან).

6 თებერვალი.

**იოკაჰამა,** 5 თებერვალი. ოფიციალური დეპეშა მარშალის ოიამისა აცხადებს, რომ ჩინეთის ყველა სამხედრო ნავთ-სადგურები და გემები დაემორჩილა იაპონელებსაო. ჩინეთის დატყვევებული ჯარი და ფლოტი იაპონიის დაშორებულს საზღვრებზედ გაიგზავნება, სადაც მათ თავისუფლებას მიანიჭებენო, ხოლო უცხოელთ გემებით გადიყვანენ დაშორებულს ადგილებშიო.

მანჯურიაში მყოფი იაპონიის პირველის ჯარის სარდალი იუწყება დეპეშით, რომ 15000 ჩინელი შემოერტყა ხაიცენგს, მაგრამ უკუქცეულიქმნენ და ბევრიც დაიხოცაო.


# განცხადებანი

**პირველი კერძო სამკურნალო ექიმის ნავასარდიანისა**

(კუკიაში, კარანცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველდღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

**ბ. ა. ნავასარდიანი,** 11—12 საათიმათ, ვისაც სჭირს სნეულებანი: სახირურგიო, ვენერიული და სიფილისი.

**ც. მ. ჩიქოვანი,** 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

**დ. გ. რუდკოვსკი,** 10—11 საათ. სნეულებანი: შინაგანი, ბავშვებისა და დედათა სქესისა.

**ექიმი მ. ტურბოვიჩი. ქალი ა.** 11—12 საათ. სნეულებანი: დედათა სქესისა.

**ი. ფ. პროტასევიჩი.** 12—1 საათ. სნეულებანი: ყურ-სა, ყელისა, ცხვირის და გულ-მკერდისა.

**ა. ზ. კარაპეტიანცი,** 1—1½ საათ. სნეულებანი: შინაგანი და ბავშვებისა.

საღამოობით:

**ა. გ. გურკო,** 6—7 საათ. სნეულებანი: სიფილისი, ვენერიული, შინაგანი და კანისა.

**ბ. ა. ნავასარდიანი,** 7—7½, საათამდის.

**ა. გ. გურკო.** გამოიკვლევს ქიმიურად და მიკროსკოპიულად შარდს, ნახველს, სისხლს, რძეს და სხვ.

რჩევა-დარიგების და რეცეფტის დაწერის ფასი ათი შაური; ფასი კონსილიუმის და ოპერაციებისათვის—მორიგებით. სამკურნალოს საწოლიცა აქვს ავადმყოფთათვის.

**დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.**

(857—1468)

—

# ცხოვრება

დიდისა მოწამისა პანტელეიმონისა

თარგმნილი

მ. შარაძის მიერ, გამოცემა ი. ჩიჩუასი

**ფასი ერთი შაური**

ისყიდება ტფილისის ქუთაისისა და ოზურგეთის წიგნის მაღაზიებში და შარაძისა და ამხან. სტამბაში.

„წერა-კითხვის საზოგადოების“

**წიგნის მაღაზიაში**

ისყიდება შემდეგი წიგნები:

| | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| ახალი ვარიანტი წმ. ნინოს ცხოვრებისა . . | „ | 40 |
| ბუნების კარი ყდით ი. გოგებაშვილისა . . . | „ | 90 |
| გეომეტრია II მ. ყიფიანისა . . . . . . . | „ | 50 |
| ვისრამიანი.. . . . . . | 1 | 50 |
| ახზულ. რ. ერისთავისა I | 1 | „ |
| თხზულ. რ. ერისთავისა II | „ | 4 |
| კოკორი, ანუ ანბანი და პირველი საკითხავი წიგნი, სახლობაში სახმარებელი, ი. გოგებაშვილისა | „ | 10 |
| კრილოვის არაკები, თარგ. აკაკისა . . . . . | „ | 30 |
| იგივე მშვენიერის ყდით . | „ | 80 |
| მოთხრობანი ვაჟა-ფშაველასი. . . . . . | „ | 30 |

—

# „ივერია“

1895 წელსაც გამოვა ყოველ-დღე, გარდა იმ დღეებისა, რომელიც ზედ მოსდევს კვირა-უქმეებს. ფასი გაზეთისა:

| | | | |
|---|---|---|---|
| 12 თვით. . . . | 10 მ.—კ. | 6 თვით . . . | 6 მ.—კ. |
| 11 „ . . . | 9 „ 50„ | 5 „ . . . | 5 „ 50„ |
| 10 „ . . . | 8 „ 75„ | . . . | 4 „ 75„ |
| 9 „ . . . | 8 „ —„ | 3 „ . . . | 3 „ 50„ |
| 8 „ . . . | 7 „ 25„ | 2 „ . . . | 2 „ 75„ |
| 7 „ . . . | 6 „ 50„ | 1 „ . . . | 1 „ 50„ |

საზღვარ-გარეთ დაბარებული ეღირება 17 მან. მთელის წლით. სოფლის მასწავლებელთ „ივერია“ მთელის წლით დაეთმობათ 8 მან. ტფილისის გარედ მცხოვრებთა უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით: Тифлисъ. Въ редакцію „ИВЕРІА“.

თუ ტფილისში დაბარებული გაზეთი ტფილისს გარეშე ადრესზედ შესცვალა ვინმემ, უნდა წარმოადგინოს რედაქციაში ერთი მანათი; ხოლო თუ ქალაქი გარეთიდგან სხვა ადგილს გადავიდა სადმე, ქალაქს გარედვე,—ორი აბაზი.

თუ თვის განმავლობაში დაიბარა ვინმემ გაზეთი არა მთელის წლით, მას გაეგზავნება გაზეთი პირველ იმ თვიდგან, რომელსაც დამბარებელი აღნიშნავს. განცახადება მიიღება გაზეთის რედაქციაში.

**ფასი განცხადების დასაბეჭდად**

ა) მეოთხე გვერდზედ თითო ჯერ სტრიქონი—8 კაპ., პირველზე—16 კაპ. ბ) სრული უკანასკნელი გვერდი—30 მანათი, ხოლო პირველი გვერდი—60 მანათი. რიცხვი სტრიქონებისა გამოიანგარიშება იმის კვალობაზე, რამდენს ადგილსაც დაიჭერს 25 ასო გაზეთის ტექსტისა.

—

ხელ-ნაწერები, წერილები და კორესპონდენციები რედაქციის სახელობაზედ უნდა გამოიგზავნოს. ხელ-ნაწერები, ან საგაზეთო წერილები, თუ საჭიროება მოითხოვს, ან შემოკლებულ, ან შესწორებულ იქნება. ხელ-ნაწერს, რომელიც დაბეჭდილი არ იქნება, თუ ერთის თვის განმავლობაში პატრონმა არ მოიკითხა, მერე რედაქციას ველარ მოსთხოვს ხოლო წვრილმანს წერილებს რედაქცია არ ინახავს.

—

არა-გვარს მიწერ-მოწერას დაუბეჭდელ ხელ-ნაწერებისა და წერილების შესახებ რედაქცია არა ჰკისრულობს.

პირისპირ მოსალაპარაკებლად რედაქცია თავისუფალი იქნება ყოველ-დღე, კვირა-უქმეებს გარდა, ათ საათიდგან პირველ საათამდე და საღამოობით 6-დგან 7½ საათამდე.

**რედაქციის ადგილსამყოფელი: ნიკოლოზის ქუჩაზე, 21.**

---

ქვაშვეთის წმ. გიორგის პირდაპირ, ჯორჯაძისეულ ღვინის საწყობის ადგილას, მირიმანოვის სახლში, 1 იანვრიდგან გავაღეთ სარძევე და საყავე. აქ მუდამა გვაქვს სხვა-და-სხვა სითეთრე საკუთარის ფერმისა, მშვენიერის თვისებისა და მუდამ ახალი. აქვე მზადდება: ჩაი, ყავა (ოსმალური), შოკოლადი, კაკაო, ცივი სასმელები, ცხელი პიროჟკები დ ბლინი. სადგომი შესდგება სამის დიდის, სუფთად და ახლად შეკეთებულის ოთახისაგან.

ფასები ჩვეულებრივია. (2—949—2)

---

საქართველოს ყველა წიგნის მაღაზიებში ისყიდება ვალერიან გუნიას მიერ შედგენილი და გამოცემული

**საქართველოს კალენდარი 1895 წ.**

წიგნი შეიცავს 600 მდე გვერდს და დასურათებულია 65 ნახატებით, ფასი 50 კაპ.

**უბის წიგნი 1895 წ.**

მშვენიერს ყდაში და ყარანდაშით, ფასი 30 კაპ.

**საოჯახო კედლის კალენდარი 1895 წ.**

დასურათებული და ფერად წამლით დასტამბული, ფასი 10 კაპ.

**სახალხო კალენდარი 1895 წ.**

დასურათებული და მრავალ საჭირო ცნობებით შევსებული, ფასი 5 კაპ.

**ქართული მიწერ-მოწერის პრებული**

სახალხო გამოცემა, ფასი 15 კაპ.

---




**VÉRITABLE BÉNÉDICTINE**

(ნამდვილი ლიკორი ბენედიქტინი

Fécamp-ი საბატოსი (საფრანგეთში)

საუცხოო, ადამიანის მომღონიერებელი, საჭმლის მონელების ხელ-შემწყობი და მადის აღმძვრელი.

უველაზედ საუკეთესო ლიკიორთა შორის

VÉRITABLE LIQUEUR BÉNÉDICTINE
Marques déposées en France et à l'Etranger

ყოველთვის მოითხოვეთ, რომ ოთხ-კუთხი იარლიკი ჰქონდეს დაკრული ბოთლს ქვემოდგან უფროსის დირექტორის მიერ ხელ-მოწერილი.

**ისყიდება** საუკეთესო გასტრონომიის მაღაზიებში და ყოველ ქალაქის უმთავრესს ღვინის საწყობებში.